პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 146 (3123) 30 1966 წ. ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



# საქართველოს სოფლის მეურნეობის მიღწევები — ფართო ჩვენებით საქართველოს სს რესპუბლიკა დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომით

**სსრ კავშირის** სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა:

**დამტკიცდეს 1965 წლის გამოფენის მონაწილედ ფართო ჩვენებით და დაჯილდოვდეს პირველი ხარისხის დიპლომით საქართველოს სს რესპუბლიკა,** რომელმაც წარმატებანი მოიპოვა 1965 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებაში: მარცვლისა—102,7 პროცენტით, ხორცისა — 105,8 პროცენტით, რძისა — 100,7 პროცენტით, მატყლისა — 100,7 პროცენტით, კვერცხისა — — 107,3 პროცენტით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 100,6 პროცენტით, ყურძნისა — 106,4 პროცენტით, ნაყოფისა (კურკიანი) — 110,3 პროცენტით, ნაყოფისა (თესლოვანი) — 128,2 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 128,5 პროცენტით, უხეში ჩაის ფოთლისა — 110,1 პროცენტით, ციტრუსებისა — 158,5 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 103 პროცენტით, კარტოფილისა — 130,2 პროცენტით, ბოსტნეულისა — 100,9 პროცენტით და კოფეინის ნედლეულისა — 114,4 პროცენტით.





# სპორტის ოსტატის მხოლოდ ერთი შედეგი

ბათუმის „სპარტაკის" საცურაო აუზში 4 დღეს გრძელდებოდა საქართველოს სპორტკავშირის ჯილდოს გათამაშება ცურვაში, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს", „განთიადის", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვებისა" და „სპარტაკის" ნაკრები გუნდები.

ასპარეზობაზე ნაჩვენები იქნა სპორტის ოსტატის 1, სპორტის ოსტატობის კანდიდატის 5, 16 პირველი თანრიგის, 69 მეორე თანრიგისა და 62 — მესამე თანრიგის ნორმატივი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ „დინამოს" მოცურავეები — 656 ქულა. საპრიზო სამეულში არიან „განთიადის" (369 ქულა) და „ბურევესტნიკის" (241 ქულა) სპორტსმენები.

ა. ჩანტლაძე.

• • •

მოგვყავს ასპარეზობაში გამარჯვებულთა შედეგები: **ქალები** — თავისუფალი სტილით — 100 მ — ვ. ანიკინა („დინამო") — 1.12,6, 200 მ — ლ. ბერძენიშვილი („ბურევესტნიკი") — 2.48,2, 400 მ — ს. გუპალოვსკაია („განთიადი") — 6.27,1, 800 მ — მ. ლიბრაძე („დინამო") — 13.03,8, ესტაფეტა 4×100 მ — „დინამო" — 5.15,0, ბრასით — 100 და 200 მ — მ. ზამბახიძე („დინამო") — 1.26,3 და 3.10,4, ზურგზე — 100 და 200 მ — — ნ. ჭუმბაძე („დინამო") — 1.19,3 და 2.57,6, 400 მ კომპლექსური ცურვა — ვ. ბახი („დინამო") — 6.34,7, **ვაჟები** — თავისუფალი სტილით — 100 მ — ა. არტამონოვი („დინამო") — 1.00,6, 200 და 400 მ — ბ. ნიკიტინი („დინამო") — 2.16,9 და 4.51,0, 1500 მ — ს. კრავცოვი („დინამო") — 20.39,7, ბრასით — 100 და 200 მ — ვ. ჩოლარია („დინამო") — 1.14,9 და 2.49,5, ზურგზე — 100 და 200 მ — ე. ხიმჩიანი („დინამო") — 1.08,2 და 2.29,7, დელფინით — 100 და 200 მ — ა. იოაკიმიდი („დინამო") — 1.06,0 და 2.25,2, კომპლექსური ცურვა — 200 და 400 მ — გ. შიხიკიანი („დინამო") — 2.25,9 და 5.24,4, ესტაფეტა 4×100 მ — „დინამო" — 4.05,8.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ბ. ნიკიტინი და ნ. ჭუმბაძე.

## უკანასკნელ საათს...

◆ **ვარშავა,** 29 ივლისი. **კონტინენტის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კიდევ ერთი საფეხურით წაიწიეს წინ საბჭოთა ფრენბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. ფინალური ტურნირის მორიგი მატჩები მათ მოუგეს ჩეხოსლოვაკიის გუნდებს. გოგონებმა ანგარიშით 3:1, ჭაბუკებმა — 3:2.**

◆ **ლენინგრადი, 29 ივლისი.** 16 ქვეყნის 400-მდე მძლეოსანი მონაწილეობს აქ გამართულ რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატში. პირველი ოქროს მედალი მოიპოვა დონეცკელმა ინჟინერმა ა. ხოდიგინამ, რომელმაც 100 მეტრი დაფარა 12 წამში. 3 სახეობაში გაიმარჯვეს სტუმრებმა. 800 მეტრზე რბენაში პირველი იყო რუმინელი მძლეოსანი ქალი კ. იაკობი — 2.11,6, 1500 მეტრზე — ბულგარელი ი. კაპჩევი — 3.54,0, სიმაღლეზე ხტომაში — დ. ლანგე (გდრ) — 160 სმ.

◆ *ოპოლე, 29 ივლისი. ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირიდან სამშობლოში დაბრუნების წინ, საბჭოთა ნაკრებმა კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. აქ გამოდიოდნენ უნგრეთის ნაკრები, პოლონეთის გუნდები — „გვარდია", „სტარტი" და ოპოლეს ნაკრები. საბჭოთა ხელბურთელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და დაიკავეს I ადგილი.*

◆ **ორჯონიკიძე, 29 ივლისი.** 3 მსოფლიო რეკორდი დამყარდა აქ მიმდინარე უძლიერეს ძალოსანთა შეჯიბრებაზე. ქვემსუბუქი წონის ე. კაცურამ აჯიმა 145,5 კგ, სამჭიდში აჰქონდა 435 კგ. ორივე შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია. აჯიმვაში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა ვ. კაპლუნოვი (ქვესაშუალო წონა) — 155,5.

# ცნობები მინსკიდან

**მინსკი,** 28 ივლისი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე უნივერსიადაზე **კლასიკურ ჭიდაობაში** 8 წონიდან შვიდში ჩვენმა მოჭიდავეებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს. დ. გვანცელაძე (მსუბუქი წონა) VII ადგილზე დარჩა (მეოთხე წრეში ვ. უიტინიოვთან ფრემ გვანცელაძეს 7 საჯარიმო ქულა დაუგროვა). უმძიმეს წონაში დ. დავითაიამ მოსკოველ ვ. ზასიპკინს მოუგო. 4 კაცმა (მათ შორის დავითაიამაც) 6-6 საჯარიმო დააგროვა. საბოლოოდ I ადგილი ბელორუსიელმა ი. ოსტრიმ მოიპოვა. II ადგილზე გავიდა კარგინი, ხოლო დავითაიას III ადგილი ხვდა წილად. მძიმე წონაში უგრეხელიძემ II ადგილი დაიკავა (გაიმარჯვა ბელორუსიელმა ე. ფაინშტეინმა). ქვემსუბუქ წონაში ო. იგაძემ მხარი დაიზიანა და იძულებული შეიქნა III ადგილს დასჯერებოდა (ჩემპიონი გახდა ლ. შარაფუტდინოვი — რსფსრ). მსუბუქში გაიმარჯვა ა. ფედორჩენკომ (ბელორუსია). ქვესაშუალო წონაში ო. თარგამაძე III იყო. I ადგილზე გავიდა ბელორუსიელი ვ. ფეფელოვი. საშუალო წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა კ. ლულუნიშვილმა. ახალგაზრდა მზარდმა მოჭიდავემ თ. ქურციკიძემ ქვემძიმე წონაში III საპრიზო ადგილი დაიკავა. ასევე III იყო მძიმე წონის მოჭიდავე მ. ჩიბურდანიძე (ამ წონებში გაიმარჯვა დ. კოგანმა (ბელორუსია) და ა. მოტინმა (ყაზახეთი). საქართველოს მოჭიდავეებმა 32 ქულა შეიტანეს საერთო გუნდურ ჩათვლაში. (მწვრთნელი კ. შეყილაძე).

**ჩოგბურთელთა** ასპარეზობაში უხეიროდ გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები, რომლებმაც IX ადგილი დაიკავეს და საქართველოს დელეგაციას ვერცერთი ჩასათვლელი ქულა ვერ მისცეს.

კვლავ კარგად გამოდიან **მოკრივეები.** უმჩატეს წონაში რ. რატიანმა მეოთხედფინალში წააგო ა. სემიონოვთან და საერთო V ადგილზე გავიდა. მჩატე წონაში ჩვენს გუნდს მონაწილე არ ჰყავს: ქვემსუბუქში კი ვარდანიანი მერვედფინალში დამარცხდა, ხოლო მეორე მოკრივემ რ. მუკოიანმა მეოთხედფინალში პირველივე რაუნდში აშკარა უპირატესობით მოუგო ა. ევსეენკოს. მსუბუქ წონაში მ. მარქარიანს მეოთხედფინალში მეტოქე არ გამოუცხადდა და იგი ნახევარფინალში გავიდა. პირველ ქვესაშუალო წონაში ნახევარფინალში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეები ჯ. კვანტალიანი და ვ. ცერცვაძე, მაგრამ კვანტალიანს წარბი ჰქონდა დაზიანებული და ექიმმა იგი შეჯიბრებაზე არ დაუშვა. კვანტალიანი III ადგილს დასჯერდა. ცერცვაძე ფინალში შეხვდება მოსკოველ ი. შმაკალოვს. პირველ საშუალო წონაში მამამთავრიშვილმა მეოთხედფინალში ნოკაუტით მოუგო მოსკოველ ვ. პოლიაკოვს. ასევე მეოთხედფინალური შეხვედრა მოიგო მეორე საშუალო წონის მოკრივემ რ. აკოფოვმა (დაამარცხა მოსკოველი ნ. პოდრეზოვი).

**ფრენბურთელთა** ასპარეზობაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ოდესელებთან მარცხის შემდეგ, წააგეს ხარკოვის უნივერსიტეტთან 0:3. კარგად გამოდიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელი ქალები. მათ აქტივში 3 გამარჯვება აქვთ: ოდესის უნივერსიტეტთან (3:1), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტთან (3:0) და მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტთან (იგივე „ლოკომოტივი") 3:2.

**კალათბურთელმა** ქალებმა (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) I ტურში მოუგეს აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტს — 52:49 (21:19), შემდეგ დაამარცხეს კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები („ჟალგირისი") — 65:62 (33:34). პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელმა ვაჟებმა მოუგეს თავიანთ კიეველ კოლეგებს 46:37 (16:12), წააგეს კაუნასის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან 55:62 (30:11), მესამე მატჩში კი მოუგეს ტალინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს 42:36 (19:18).

**ჭადრაკში** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მშრალი ანგარიშით 6:0 მოუგო ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს. მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტთან შეხვედრა შეწყვეტილია — 3:1 (2 გადადებულ პარტიაში ჩვენებს მოგების შანსები აქვთ). პირველობის ბედს გადაწყვეტს მოსკოვის უნივერსიტეტთან მატჩი.

დამთავრებული სახეობების შემდეგ საქართველოს სპორტული დელეგაცია 136,5 ქულით III ადგილზეა. I ადგილზეა მოსკოვი — 163 ქულა, II — რსფსრ — 151.

ჯ. ენუქიძე.

## ახალი ამბები

● **ტულა.** ახალგაზრდა მინსკელმა ველოსიპედისტმა ვ. ბიკოვმა უკვე მეორედ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში. ეს მოხდა ტულის ტრეკზე. ბიკოვს სსრ კავშირის ჩემპიონის სახელს ფინალში ეცილებოდა ლენინგრადელი ს. მოსკვინი (იგი ჩვენი ქვეყნის 7-გზის ჩემპიონია). ს. მოსკვინს ამჯერად ვერცხლის მედალი ხვდა წილად. მესამე ადგილი დაიკავა რიგელმა ძ. ლაცისმა.

● კალინინგრადი. ლატვიის კალათბურთელი გოგონები უძლიერესნი აღმოჩნდნენ აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის 14 წლის პიონერს, უ. სემიონოვას. ნორჩი სპორტსმენი, რომლის სიმაღლე 201 სანტიმეტრია, ყოველ მატჩში თავისი გუნდის გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო. II ადგილი დაიკავა მოსკოველმა, III — უკრაინელმა გოგონებმა.

● **ბერნი, 28 ივლისი.** ფეხბურთის ევროპულმა ასოციაციამ (უეფა) თავის სხდომაზე გადაწყვიტა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი გამართოს 1967 წლის 24 მაისს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, ხოლო თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალი — 31 მაისს გფრ-ის ერთ-ერთ ქალაქში.

● *პარიზი, 28 ივლისი. პოპულარული საავტომობილო შეჯიბრებები „მონტე-კარლოს რალი" გაიმართება 1967 წლის 14-21 იანვარს. სასტარტო პუნქტებად ნავარაუდევია ლისაბონი, მონტე-კარლო, საფრანგეთის ქალაქი რეიმსი, ათენი, ვარშავა, ლონდონი, მაინის ფრანკფურტი, ოდესა და ოსლო.*



# VIII მსოფლიო ჩემპ…

ENGLAND 1966

## მატჩი III ადგილის…

ლონდონი, 29 ივლისი (საქდე-სის სპეც. კორესპონდენტები ნ. კისელიოვი, ა. კაჩალოვი, ს. ივანოვი). მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ საბრძოლო მოედანზე — ლონდონის „უემბლის" სტადიონის შესანიშნავ ხალიჩაზე, სადაც შაბათს უნდა გადაწყდეს ოქროს ქალღმერთის ბედი, 28 ივლისს შეხვდნენ მანუგეშებელი ფინალის (III და IV ადგილები) მონაწილენი — სსრ კავშირი და პორტუგალია.

ჩვენს გუნდში მოხდა დიდი ცვლილებები და მინდორზე გამოვიდა ნ ახალი მოთამაშე. ეს განახლება გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ შეგვეცვალა ტრავმირებული შესტერნიოვი და საბო, აგრეთვე დისკვალიფიცირებული ჩისლენკო, არამედ იმიტომაც, რომ ბრძოლაში ჩაგვება ახალი ძალები, დაესვენათ მათ, ვინც 5 დღის განმავლობაში გადაიტანა 3 ძალზე მძიმე მატჩი. რა თქმა უნდა, ეს ერთობ მძიმე რეგლამენტია საუკეთესოდ მომზადებული მოთამაშისთვისაც კი. საბჭოთა ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: იაშინი, პონომარიოვი, კორნეევი, ხურცილავა, დანილოვი, ვორონინი, სიჭინავა, მეტრეველი, მალოფეევი, ბანიშევსკი, სერებრიანიკოვი. პორტუგალიის გუნდი მინდორზე გამოვიდა ასეთი შემადგენლობით: პერეირა, ფესტა, ბაპტისტა, კარლოსი, ხილარიო, გრასა, კოლუნა, აუგუსტო, ეუსებიო, ტორესი, სიმოესი.

ანგარიში გაიხსნა საკმაოდ მოულოდნელ ვითარებაში: ხურცილავამ მე-13 წუთზე საკუთარ საჯარიმო მოედანზე რატომღაც ხელით ითამაშა, თუმცა საამისო იმ მომენტში იქ არაფერი იყო. ეუსებიომ ზუ…ტად გამოიყენა პენალტი — 1… თამაში მიმდინარეობდა რამდენ… მე შენელებულ ტემპში (დაღ… ლობა მაინც იგრძნობოდა) საბ… თა ნაკრების მცირე უპირატე… ბით. ჩვენს გუნდში კარგად თა… შობდა მეტრეველი და სწორედ… სი უძლიერესი დარტყმა ვერ აი… პერეირამ ტაიმის დასასრულს. ბა… შევსკიმ გაქვითა გოლი — 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში ს… ჭოთა ფორვარდებმა ვერ გამოი… ნეს რამდენიმე კარგი შესაძლ… ლობა, ხოლო შემდგომში პორტ… გალიელებმა თითქოს ძალების ა… ლი მოზღვავება იგრძნეს — ის… ძლიერ შტურმზე გადავიდნენ. … ცა ინგლისელი მსაჯის კ. დაგნე… ფინალურ სასტვენს 3 წუთი აკლ…

## კომენტარები, კომენტარე…

მსოფლიო პირველობის პრეს-ცენტრი 2 მოქიშპე ბანაკს ჰგავს. ერთ მხარეს არიან ინგლისელი ჟურნალისტები, მეორე მხარეს კი უცხოელი კორესპონდენტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჩემპიონატზე ყველაფერი თავისი რიგით და წესით არ მიდის.

აი, რას წერს ფრანგი მიმომხილველი ფ. ჟოზე: „ჩემპიონატში ძალთა ობიექტურ შეფარდებაზე ძნელია ლაპარაკი იმიტომ, რომ ყველა გუნდი ერთნაირ პირობებში არ არის მოქცეული. ეს შეეხება მატჩების განრიგს, მსაჯობის ხარისხს და საორგანიზაციო კომიტეტის უოველ უმნიშვნელო გადაწყვეტილებასაც".

ლონდონში ჩასულ ჟურნალისტთა უკმაყოფილება გამოიწვია მასპინძლების უტაქტო საქციელმა პორტუგალიის ნაკრების მიმართ. პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა ნახევარფინალური მატჩის წინ „უემბლის" სტადიონზე 20-წუთიანი ვარჯიში ითხოვეს, რათა მოედანს გაცნობოდნენ და შეჩვეოდნენ. ინგლისელებმა კატეგორიული უარით გაისტუმრეს ნაკრების ხელმძღვანელები. „განა ეს არის მეტოქეთა თანაბარ პირობებში ყოფნა? ინგლისის ნაკრებმა ყველა მატჩი „უემბლიზე" ჩაატარა, პორტუგალიელებს კი 20 წუთითაც არ შეაღმევინეს ფეხი იქ", — წერს იგივე ჟოზე.

სკანდალური ხასიათი მიიღო ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ა. რამსეის დემაგოგიურმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ „არგენტინელები მოედანზე კი არ თამაშობდნენ, არამედ ცხოველებივით იქცეოდნენ". ფრანგი ჟურნალისტების აზრით, ასეთი სიტყვები ჯენტლმენს არ შეშვენის, მით უფრო, რომ არგენტინელთა დანაშაულის სიმძიმე ძალზე სადავოა. იმავე ჟურნალისტების აზრით, „რამსეის საქციელი განებივრებული ბავშვის ქედმაღლობას გავს, რომელსაც ყველა თავზე ხელს უსვამს".

შვეიცარიის ერთ-ერთი გაზეთის სპორტული მიმომხილველი ჯ. სტრომბერგი წერს: „ორგანიზაციის მხრივ სტოკჰოლმის და ჩილის ჩემპიონატი სჯობდა ლონდონისას. ინგლისი თითქოს მსხვერპლს ითხოვს, რომ კაცობრიობას ფეხბურთი აჩუქა".

მაგრამ, ამავე დროს, ჟურნალ… თა მაღალ ოსტატობას პორტუგ… მოიგო შეხვედრა დამსახურებულ… შეხვედრა სამაგალითო იყო სანახ… საზრისით. მთელი მატჩის მანძილ… ჯარიმო დარტყმის დანიშვნა.

იტალიელი სპორტული ჟურ… გამოთქვამს ინგლის — პორტუგ… ხებ: „რაში მდგომარეობდა ინგლი… ში? — კითხულობს იგი და შეკით… და თუ არა ამ მატჩს ინგლისი ევ… რი რომ ვთქვათ ლისაბონზე. მგ… „უემბლის" სტადიონი — აი, ჩემ… მთავარი მიზეზი".

## ჯილდოები

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ბოლო მომენტამდე საიდუმლოდ ინახავს მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოების ამბავს, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ საორგანიზაციო კომიტეტს განზრახული აქვს ფინალურ მატჩში გამარჯვებული ჟიულ რიმეს თასის გარდა, დააჯილდოვოს ოქროს, ხოლო დამარცხებული — მოოქროვილი მედლით.

მესამე ადგილისთვის გათვალისწინებულია ვერცხლის მედლები. ჯილდოებს მიიღებენ მხოლოდ ისინი (11-11 მოთამაშე), ვინც ითამაშა გადამწყვეტი მატჩი.

### ● საუკეთესო სნაიპერს

დღეს ლონდონის „უემბლიზე" ფინალური მატჩია. როგორც ცნობილია, ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერისთვის გათვალისწინებულია საგანგებო პრიზი და საკმაოდ მოზრდილი ფულადი ჯილდო — 1000 გირვანქა სტერლინგი.

ეს ჯილდო პრაქტიკულად განაღდებული აქვს პორტუგალიის ნაკრების შესანიშნავ ცენტრფორვარდს ეუსებიო და სილვა ფერეირას, რომელმაც მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანა 9 ბურთი.

დღეს ფინალში თამაშობენ ინგლისი და გფრ. ჰალერს (გფრ) გატანილი აქვს 5 ბურთი, ხოლო ბეკენბაუერს (გფრ) 4. 3-3 ბურთია ჰანტისა და რ. ჩარლტონის (ორივე — ინგლისი) ანგარიშზე. ძნელი დასაშვებია, რომ რომელიმემ ამ ოთხთაგან შეძლოს ეუსებიოს რეკორდის მოხსნა.

### ● ვინ იქნება საუკეთესო მოთამაშე

ფეხბურთის ჟურნალისტთა ინგლისის ასოციაციამ დააწესა სპეციალური პრიზი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშისთვის (ლაპარაკია არა მხოლოდ პირველ სნაიპერზე). ამ პრიზის მფლობელი გამოირკვევა მხოლოდ ფინალური მატჩის შემდეგ.

## რეკორდები და რეკ…

ფეხბურთშიც არსებობს სხვადასხვაგვარი რეკორდი. მართალია, მათი რეგისტრაცია ოფიციალურად არ სწარმოებს, მაგრამ ჟურნალისტები, როგორც წესი, ყველა სარეკორდო შედეგებს ნუსხავენ.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე საფეხბურთო რეკორდების დიდი უმრავლესობა გაუმჯობესდა. მაგრამ არის ერთი სარეკორდო მაჩვენებელი, რომელსაც ალბათ ვერავინ მოხსნის. თქვენ ალბათ მიხვდებით, რომ ლაპარაკი გვაქვს ფრანგი ფეხბურთელის ჟიუსტ ფონტენის შედეგზე. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სტოკჰოლმში ჩატარდა, ფონტენი უძლიერ… ბომბარდირი იყო — მეტოქეთა … ში მან 13 ბურთი გაიტანა. მიმ… ნარე ჩემპიონატის შედეგების მიხედ… ფონტენის სარეკორდო მაჩვენებ… მხოლოდ ეუსებიო უახლოვდება (9 … რთი), ეს არის და ეს.

მაგრამ ზოგიერთი რეკორდი წლე… დელ ჩემპიონატზე საგრძნობლად გა… ხალისდა. აი, ერთ-ერთი მათგანი, … ლის ავტორია პორტუგალიელი ე… ბიო. თუ მსოფლიოს 1958 წლის პი… ლობის გვირგვინი პელე იყო, 1… წლის პირველობის — გარინჩა, … დონის ტურნირს თამამად შეიძ… ეუსებიოს ჩემპიონატი ვუწოდოთ. ე…



## ცარიელი ადგილები ტრიბუ…

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 28 ივლისი.
„დინამო" (თბილისი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 0:0.
„დინამო": ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჩელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, მაისურაძე (ხუციშვილი), იამანიძე, მესხი.
„კაირატი": ლისიცინი, მუსინი (ნეჩისტიკი), იშჩენკო, ფედოტოვი, კამინსკი, ფალინი, სეგიზბაევი, ოსტროუშკო, ვორონჩიხინი, როეკოვი, ვოლოხი.
მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

ცარიელი ადგილები თბილისის „დინამოს" სტადიონზე, როცა ჩვენს გუნდს საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი აქვს? ვინ გაიხსენებს გულშემატკივრებიდან, როდის მოხდა ეს ამბავი უკანასკნელად?

28 ივლისს, „კაირატთან" მატჩში. მსაჯმა თამაშის დაწყების სასტვენი მისცა და სტადიონზე ჯერ კიდევ შემოდიოდნენ დაგვიანებულნი, რომლე… ალბათ, ბოლო მომენტში გადაწყ… მაინც მოსულიყვნენ თამაშზე და უ… ლოდ დასწრებოდნენ დინამოელთა მ… მიუხედავად ამისა, ტრიბუნებზე ს… რისზე მეტად იყო ცარიელი ადგილ… რომლებიც ნათლად გამოხატავდნენ … ხბურთის მოყვარულთა პროტესტს … ლისის „დინამოს" ბოლო ხანების …





# ...როპა
## VIII ინგლისი

# ...თვის

პორტუგალიის თავდასხმაში გათამაშდა ელვისებური კომბინაცია ტორესი—აუგუსტო—ტორესი, რომელიც ამ უკანასკნელმა დაამთავრა ძლიერი დარტყმით დაბალ კუთხეში — 2:1. პორტუგალიელებმა მსოფლიო ჩემპიონატში დაიკავეს III ადგილი, ხოლო საბჭოთა ნაკრებმა — IV. ორივე გუნდისთვის ეს უმაღლესი მიღწევაა ფიულ რიმეს თასის გათამაშების ისტორიაში.

• • •

...დავა გამოიწვია იმ ამბავმა, თუ ვინ იყო საპასუხო გოლის ავტორი. მალოფეევმა და ბანიშევსკიმ მატჩის შემდეგ ერთხმად აღიარეს, რომ ისინი იქვე იდგნენ პორტუგალიელთა მეკარე პერეირასთან და ვერც მოასწრეს ბურთის მისწვდენოდნენ. ასე რომ, გოლის ავტორად მეტრეველი უნდა ჩაითვალოს.

# ...ი...

...ერთხმად აღნიშნავენ ინგლისელ... ნაკრებთან მატჩში. ინგლისმა ... უეჭველია, ნახევარფინალური ...ვადაც და კორექტულობის თვალ... მხოლოდ 13-ჯერ მოუხდა სა-...

...ტო მ. როზეტო საინტერესო აზრს ... ნახევარფინალური მატჩის შესა-...რების უპირატესობა ამ შეხვედრა-... ...კითხვითვე პასუხობს — მოიგებ... სხვა რომელიმე ქალაქში, არაფე-...მეთანხმებით, რომ ვერ მოიგებდა. ...რით ინგლისელთა წარმატების

# ...რდსმენები

...რომ ამ ჩემპიონატზე ერთ მატჩში 4 ბურთი გაიტანა. ეს არის რეკორდი, რომლისთვისაც ადრე არც ერთ ფეხბურთელს არ მიუღწევია.

ერთ-ერთ მეოთხედფინალურ მატჩში დამყარებულ იქნა „უემბლის" სტადიონის რეკორდი — მსაჯმა მოედნიდან გააძევა არგენტინელთა კაპიტანი რატინი. კი მაგრამ ეს რა რეკორდია, იკითხავს მკითხველი: განა წინა ჩემპიონატებში მოთამაშის გაძევებას არ ჰქონდა ადგილი?

საქმე ისაა, რომ „უემბლის" სტადიონიდან, რომელიც 1923 წელს აშენდა, წელს პირველად გააძევეს ფეხბურთელი.

## „ჩვენ გაგვიჭირდა..."

ლონდონი, 29 ივლისი. როგორც როიტერის სააგენტო იტყობინება, პორტუგალიელთა მწვრთნელმა ო. გლორიამ გუშინდელი მატჩის შემდეგ განაცხადა:

„პორტუგალიელი ფეხბურთელები ფიზიკურად ჩამორჩებოდნენ საბჭოთა გუნდს. ჩვენ გაგვიჭირდა გაგვეძლო 90 წუთი. საბჭოთა სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაში".

გლორიამ ლ. იაშინი, ვ. ვორონინი და ს. მეტრეველი მატჩის ბრწყინვალე მოთამაშეებად ცნო.

## სამართლიანი იყო — ფრე

რომი, 29 ივლისი. სსრ კავშირისა და პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდების გუშინდელი მატჩის შეფასებისას, იტალიური გაზეთები „ჯორნო", „სტამპა" და ზოგიერთი სხვა, თვლიან, რომ შეხვედრის უფრო სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდა.

„ჯორნო" წერს, „რომ ფრე ყოფილიყო, მაშინ პორტუგალია და სსრ კავშირი თანაბრად გაიყოფდა III ადგილს, როგორც მოკრივენი — ოლიმპიურ თამაშებში ნახევარფინალებში დამარცხებულები".

„მესაჯეროს" აზრით, საბჭოთა გუნდის წაგება არა მარტო მოთამაშეების დაღლილობით შეიძლება აიხსნას, არამედ შესტერნიოვის, საბოს, ჩისლენკოსა და ხუსაინოვის არყოფნითაც. საბჭოთა მოთამაშეებიდან გაზეთი გამოჰყოფს ვორონინს, რომელმაც შეძლო ეუსებიოს დაჭერა, პონომარიოვს, მეტრეველსა და სიჭინავას.

## ყველაზე იღბლიანი

*ჩემპიონატის დღეებში ერთმანეთს არა მარტო გუნდები ეჯიბრებიან, არამედ მწვრთნელებიც, გულშემატკივრებიც და ასე გასინჯეთ — სტადიონებიც. როდესაც მსოფლიო პირველობის განრიგი დგებოდა, ორგანიზატორებმა პრიორიტეტი „უემბლის" სტადიონს მიანიჭეს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან „უემბლი" არა მარტო ბრიტანეთის კუნძულებზე, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონად ითვლება. „უემბლი" დაუთმო იმ ჯგუფს, რომელშიც მასპინძლები თამაშობდნენ.*

*მაგრამ ჯგუფური ტურნირების შედეგების მიხედვით, ლონდონის „უემბლი" ყველაზე უინტერესო სტადიონი გამოდგა. მდგომარეობა არც შემდგომში გამოსწორდა. „უემბლის" მაყურებლებმა ნამდვილი ფეხბურთი მხოლოდ 26 ივლისს ნახეს (ინგლის — პორტუგალიის მატჩი).*

*ყველაზე იღბლიანის სახელი ერთხმად მიეკუთვნა ლივერპულის სტადიონს, რომელზეც გაიმართა უნგრეთ — ბრაზილიის, პორტუგალია — ბრაზილიისა და კორეა — პორტუგალიის მატჩები.*

# ავილანჟი უკმაყოფილოა

ბრაზილიელი ოფიციალური მოღვაწენი არა მარტო თანაუგრძნობენ თავიანთ ფეხბურთელებს დამარცხების გამო, ისინი ცდილობენ გაამართლონ ისინი თანამემამულეთა თვალში, ფეხბურთის მოყვარულთა წინაშე და შეტევაზე გადადიან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიმართ. მთავარი მოტივი ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ახლანდელი სტატუტი ბრაზილიელთა წარუმატებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ბრაზილიის სპორტული კავშირის პრეზიდენტმა ჟ. ავილანჟმა პრეს-კონფერენციაზე მკაცრად გააკრიტიკა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ამჟამად არსებული სისტემა.

ჟ. ავილანჟი, უპირველეს ყოვლისა, აღშფოთებულია იმით, რომ... „გუნდი მხოლოდ ერთი, ერთადერთი დამარცხების გამო პრაქტიკულად კარგავს ფინალში გასვლის საშუალებას (მას მხედველობაში აქვს ბრაზილიელთა დამარცხება უნგრეთთან). ამჟამად არსებული წესები არა თუ არ წარმოადგენს სტიმულს ფეხბურთის განვითარებისათვის, პირიქით, ხელს უშლის კიდეც მას".

პრეზიდენტმა შემდგომში ხაზი გაუსვა, რომ გადაწყვეტილება, თუ სად უნდა ჩატარდეს ესა თუ ის მატჩი, უკვე აძლევს უპირატესობას ზოგიერთ გუნდს. „აბსოლუტურად არაა სულ ერთი, — თქვა ავილანჟმა, — თუ რამდენი მაყურებელი უყურებს თამაშს: 100 ათასი თუ 20 ათასი. მაყურებელთა დიდი რაოდენობა ძალებს მატებს ფეხბურთელებს". ბრაზილიის სპორტული კავშირის პრეზიდენტი ასკვნის: „ეს ხომ უსამართლობაა, რომ ისეთმა გუნდმა, როგორიც ჩვენია, რომელმაც 800 ათასი დოლარი დახარჯა მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისისას, ერთადერთ მატჩში დაკარგა ოქროს ქალღმერთის მოპოვების ყველა შანსი. ესაა მსოფლიო ჩემპიონატების ორგანიზატორთა ყველაზე დიდი შეცდომა. ასეთივე მდგომარეობა იყო ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზეც, სადაც ბრაზილიის გუნდი გამოთიშულ იქნა გათამაშებიდან არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის უფრო სუსტი გუნდის მიერ ბურთების შეფარდების გამო."

ავილანჟის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის სტატუტი უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის 16 მონაწილე უნდა გაიყოს 2 ჯგუფად და ამ ჯგუფის გამარჯვებულებმა იბრძოლონ ოქროს ქალღმერთის თასისთვის. ამით ავტომატურად იხსნება ვარიანტი, როცა ერთ გუნდს შესაძლებლობა აქვს ორჯერ შეხვდეს რომელიმე სხვას.

ჟ. ავილანჟმა ხაზი გაუსვა, რომ იგი თავის წინადადებას ფიფა-ს გადასცემს ოფიციალური საბუთის სახით.

## ხომ არ მოძველდა ჩემპიონატის ფორმულა?

„პირველობის ფორმულა სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს" — ასეთია ფეხბურთის სპეციალისტთა და ჟურნალისტების ერთობლივი დასკვნა. ლონდონის ჩემპიონატზე სასტიკი კრიტიკის ქარიშხ მოჰყვა მსოფლიო ჩემპიონატის წესების კოდექსი. უკმაყოფილების მთავარი თემატიკა — შეხვედრებში გუნდების შერჩევის პრინციპი. სპეციალისტთა აზრით არ არის სწორი [illegible] — როგორც გამარჯვებულის გამოვლენის უკიდურესი საშუალება. „ჩვენ ხშირად ვამბობთ, — განაცხადა პორტუგალიის ნაკრების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, — რომ ესა თუ ის ნახევარფინალური მატჩი ფაქტიურად ფინალს წარმოადგენს. მაშ რატომ უნდა შეხვდეთ დამატებითი მატჩის უფლება (საკამათო ანგარიშის შემთხვევაში) მხოლოდ ფინალისტებს, თუ ნამდვილად ფავორიტები ნახევარფინალში, ან უფრო ადრე ხვდებიან ერთმანეთს? კარგია, რომ ჯერჯერობით ფავორიტები მხოლოდ მოედანზე ვლინდება, მაგრამ ვინ არის ამით ბოლომდე დაზღვეული, მით უმეტეს, როდესაც ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის?"

სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები „ოლიმპიური სისტემის" წინააღმდეგ. „ნამდვილად, ლოტერეის გამოყენება, ასეთ მეთოდს არ ძალუძს, — აცხადებს საფრანგეთის სპორტული გაზეთი „ეკიპი", — წრიული სისტემა, აი, რა უნდა იყოს ნიჭის მფლობელის სიძლიერის ერთადერთი საზომი". გაზეთს მოჰყავს III ჯგუფის მაგალითი, რომელშიც 4 ფავორიტი ნაკრები გამოდიოდა. „თვითეულ მათგანს სხვა ჯგუფებიდან მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი ექნებოდა, — ასკვნის „ეკიპი".

# ახალი მეფე...

„მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!" — ასე თქვა შექსპირმა და იგივე ფრაზა ახლა სრული დარწმუნებით შეიძლება გაიმეოროს ფეხბურთის ყოველმა მოყვარულმა. რამდენიმე წელი ზედიზედ ფეხბურთის უგვირგვინო მეფედ ითვლებოდა ედსონ არანტეს დო ნასიმენტო — პელე. სულ ახლახან იგი დღესასწაულობდა თავისი თაყვანისმცემლების თვეს და საქორწინო მგზავრობა ჰქონდა ევროპაში. აქ მას ისეთი ზეიმით ხვდებოდნენ, როგორიც მრავალი ასეული წლის მანძილზე არა ჰქონია არც ერთ მონარქს. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატმა კი ნათელყო, რომ იგი მეფე აღარაა. პელეს ჩამოართვეს გვირგვინი, ჩამოართვა პორტუგალიელმა ეუსებიომ.

ეს ციტატა ამოღებულია ინგლისურ გაზეთ „დეილი მირორიდან". ძნელია ეწინააღმდეგო გაზეთს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც პორტუგალიელები აჯობნენ მატჩს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან და სწორედ ეუსებიოს წყალობით, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა, შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 5:3.



პელე.



ეუსებიო.

# ...ეგზე...

...რუმატებლობისა და ცუდი თამაშისადმი.

მაგრამ ცუდი თამაში ხომ თავისით არ მოდის? მას აქვს ლოგიკური მიზეზები. რაში მდგომარეობს ის?

თავი დავანებოთ იმას, რომ ჩვენს გუნდს ახლა აკლია წამყვანი მოთამაშეები და ძირითად შემადგენლობაში ამჟამად მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელები ვერ აჩვენებენ მომზადების სტაბილურ დონეს. ვილაპარაკოთ იმათზე, ვინც დღეს გამოდის მინდორზე.

მაყურებელი აშკარად შეამჩნევდა იმ დიდ განსხვავებას, რომელიც იგრძნობოდა „კაირატთან" ჩატარებული მატჩის პირველ და მეორე ტაიმებს შორის. თბილისელთა მიერ შესრულებული პირველი ტაიმი ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. არავითარი ტემპი, არავითარი მონდომება საიმისოდ, რომ ხელთ ეგდოთ ინიციატივა და ეგრძნობებინათ მოწინააღმდეგისთვის თავისი ძალა. დინამოელთა თამაში უფრო ორმხრივ საწვრთნელ მეცადინეობას გავდა, ვიდრე კალენდარულ მატჩს იმ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც ბოლო ხანებში საკმაოდ სერიოზული წარმატებები აქვს მოპოვებული. ყველაფერი მიმდინარეობდა ისე, როგორც ეს „კაირატს" უნდოდა: თბილისელები სისტემატურად კარგავდნენ ბურთს, არ გამოდიოდნენ გადაცემაზე, ბურთის თვითეული მიღებისა და დამუშავებისას იკარგებოდა აუარებელი დრო (ამასობაში ალმაათელები დაცვის საქმეებს აწესრიგებდნენ), ხოლო ის დაბალი ტემპი, რომელიც მასპინძლებმა აირჩიეს, ფაქტიურად სტუმართა გეგმის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. მატჩი ისე დამთავრდა, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ თუ რატომ ითამაშა ჭელიძემ განაპირა მცველის პოსტზე, ხოლო პეტრიაშვილმა — სტოპერად. „კაირატის" თავდასხმაში არ ჩანდა რამე საიმისო, რომ ასეთი გადაადგილების საჭიროება ყოფილიყო და გარდა ამისა, ცნობილია, რომ ჭელიძეს არა აქვს ის სისწრაფე, რომელიც განაპირა მცველს სჭირდება. თავდასხმაში სრული უმოქმედობა გამოამჟღავნეს დათუნაშვილმა და მაისურაძემ, ნახევარმცველები კარგავდნენ გადაცემათა უმეტესობას, ძალზე სუსტად იბრძოდნენ მაღალი ბურთებისთვის და კიდევ უფრო ანელებდნენ ისედაც დაბალ ტემპს. რაც შეეხება დაცვას, გასაკვირია, რომ აქ დაშვებული შეცდომების შედეგად (განსაკუთრებით რეხვიაშვილისა და ჭელიძის მხრივ) ანგარიშის გახსნა ვერ შეძლეს ვორონჩიხინმა, სევიზბაევმა ან ფალინმა.

შედარებით უკეთესი იყო დინამოელთა მეორე ტაიმი. 45 წუთის განმავლობაში ბურთი თითქმის არ მოსცილებია „კაირატის" კარს. მესხი ზედიზედ არღვევდა მოწინააღმდეგის დაცვას, ამოქმედდნენ სხვა თავდამსხმელებიც, მაგრამ, ეტყობა, 45 წუთი ჩვენი გუნდისთვის არაა საკმარისი საიმისოდ, რომ მოუგოს „კაირატს". მაქსიმალური სიძლიერით თამაში საჭიროა მთელი მატჩის განმავლობაში, მთელი 90 წუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებას ვერ მიაღწევ. თბილისის „დინამომ" ეს ჭეშმარიტება რამდენიმეჯერ მწარედ გამოსცადა საკუთარ თავზე, მაგრამ დღემდე ვერ გამოიტანა შესაფერისი დასკვნა. კაირატელებმა გაუძლეს დინამოელთა შტურმს მეორე ტაიმში, მაგრამ თამაში რომ ასე წარმართულიყო თავიდანვე, თბილისელები აუცილებლად მოიპოვებდნენ საჭირო გამარჯვებას.

მატჩი „კაირატთან" თბილისის „დინამომ" ჩაატარა სუსტად და თავის ისედაც მოკრძალებულ ბალანსს შესძინა მხოლოდ 1 ქულა. ეს კი ძალზე ცოტაა როგორც ჩვენი გუნდის პრესტიჟისთვის, ისე მისი სატურნირო მდგომარეობისთვისაც.

ახლა მთელი იმედები დამყარებულია იმ წამყვან მოთამაშეებზე, რომლებიც სულ მალე უნდა დაბრუნდნენ მსოფლიო ჩემპიონატიდან. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ საიმისოდ, რომ გამოასწორონ თბილისის „დინამოს" ჩავარდნა.

**მ. შავდია,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

• • •

ალმა-ათის „კაირატთან" მატჩში თბილისელთა თავდასხმაში საუკეთესო იყო მარცხენა ფრთა — შ. იამანიძე და მ. მესხი.

მ ა რ ც ხ ე ნ ა  ს უ რ ა თ ზ ე: შ. იამანიძე ებრძვის „კაირატის" მცველებს. მ ა რ ჯ ვ ე ნ ა — მ. მესხის მორიგი გარღვევა.

## „კ" კლასი I ჯგუფი

## პირველი წრის საგოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 18 | 13 | 5 | 0 | 39—5 | 31 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 18 | 10 | 6 | 2 | 27—14 | 26 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 18 | 7 | 11 | 0 | 19—11 | 25 |
| ცსკა | 18 | 9 | 6 | 3 | 40—26 | 24 |
| ასკ (როსტოვი) | 18 | 11 | 1 | 6 | 29—27 | 23 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 18 | 7 | 6 | 5 | 28—21 | 20 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 18 | 7 | 5 | 6 | 25—15 | 19 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 18 | 8 | 3 | 7 | 19—20 | 19 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 7 | 4 | 7 | 26—22 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 6 | 6 | 6 | 17—15 | 18 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 18 | 7 | 3 | 8 | 23—28 | 17 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 18 | 4 | 7 | 7 | 18—22 | 15 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 18 | 6 | 3 | 9 | 16—28 | 15 |
| „დინამო" (მინსკი) | 18 | 4 | 7 | 7 | 16—23 | 15 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 18 | 6 | 3 | 9 | 24—32 | 15 |
| „არარატი" (ერევანი) | 18 | 5 | 5 | 8 | 15—26 | 15 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 18 | 2 | 7 | 9 | 12—28 | 11 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 18 | 4 | 1 | 13 | 15—29 | 9 |
| ასკ (ოდესა) | 18 | 1 | 5 | 12 | 9—30 | 7 |

• • •

„ნეფტიანიკი" — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:[illegible]
„არარატი" — „პახტაკორი" 0:0.
„შახტიორი" — „დინამო" (კიევი) 0:2.
„დინამო" (მოსკოვი) — ცსკა 2:4.
„ზენიტი" — ასკ (როსტოვი) 0:1.
„დინამო" (მინსკი) — „სპარტაკი" 1:2.
„კრ. სოვეტოვი" — „ჩერნომორეცი" 0:0.

ფეხბურთი

# ჩვენი გუნდები ფინალში

ქ. ორშა. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ნახევარფინალური ტურნირი, სადაც მონაწილეობდა 8 გუნდი. I ქვეჯგუფში გამოდიოდნენ თბილისის „დინამო", სმოლენსკის „ისკრა", ვიტებსკის „დვინა" და ხმელნიცკის „დინამო". II ქვეჯგუფში თამაშობდნენ: „ნაირი" (ერევანი), „სუდოსტროიტელი" (ნიკოლაევი), „ჟალგირისი" (ვილნიუსი) და „დინამო" (ბრიანსკი).

თბილისის დინამოელებმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გავუა) ქვეჯგუფში დაამარცხეს სმოლენსკისა (2:1) და ხმელნიცკის (1:0) გუნდები და ფრედ ითამაშეს ვიტებსკთან (0:0). ქვეჯგუფიდან ფინალურ ოთხეულში თბილისელებთან (2 ქულა) ერთად შევიდა „ისკრაც" (0 ქულა), ხოლო II ქვეჯგუფიდან — ერევნის „ნაირი" (2 ქულა) და ნიკოლაევის „სუდოსტროიტელი" (0 ქულა).

ფინალში თბილისელებმა ფრედ ითამაშეს ნიკოლაევის გუნდთან (0:0). ასევე დამთავრდა „ნაირისა" და „ისკრის" მატჩი. თბილისისა და ერევნის გუნდებს დაუგროვდათ 3-3 ქულა და მატჩს მათ შორის უნდა გამოევლინა საერთო გამარჯვებული. დინამოელებმა კარგად ითამაშეს „ნაირთან" და დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0. მათ დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი.

ო. უშვერიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

ქ. მარგანეცი. (ჩვენი სპეც. კორ.). „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებული ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების ქ. მარგანეცის ნახევარფინალში მონაწილეობდა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდიც (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ვ. ელოშვილი).

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ფინალურ ოთხეულში აქ გავიდნენ ჩვენი გუნდი და კიშინიოვის „ავინტული" (2-2 ქულა), აგრეთვე, ასკ (ლვოვი) და ბაქოს „ნეფტიანიკი" (1-1 ქულა).

თბილისელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს თავიანთ მთავარ მეტოქე „ავინტულთან" და ეს შეხვედრა წაგებულ იქნა ანგარიშით 1:2. ლვოვისა და ბაქოს გუნდებმა ითამაშეს ფრედ — 1:1. ამის შემდეგ კიშინიოველმა ფეხბურთელებმა დამარცხება განიცადეს ლვოვის გუნდისგან — 0:3, ხოლო ქართველმა ფეხბურთელებმა ძლიერად ითამაშეს ბაქოს „ნეფტიანიკთან" და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:2. ამ გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს საკავშირო გათამაშების ფინალში. ასეთი წარმატება არც ერთ გუნდს არა ჰქონია.

კარგად ჩაატარეს მატჩები თ. წურწუმიამ, თ. სუხაშვილმა, ფ. თაყნიაშვილმა, თ. ქობალავამ, ა. კუნელაშვილმა და სხვებმა. ნახევარფინალის საუკეთესო მცველის პრიზი მიიღო ფ. კანთელაძემ.

გ. გაქანიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

7 სექტემბერს ქ. ლუგანსკში დაიწყება ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალი. მასში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ფრუნზეს „ალგამ", ტაშკენტის „პახტაკორმა", ცსკა-მ, თბილისის „დინამომ", თბილისის ახალგაზრდულმა საფეხბურთო სკოლამ, მოსკოვის ახალგაზრდულმა საფეხბურთო სკოლამ, ივანოვოს „ტექსტილშჩიკმა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგმა".



არის!

ფოტო ა. საკოევისა.

# კალათბურთის მოედნიდან... მილიციაში

**ხდება ხოლმე ასეთი დამთხვევები. რედაქციაში ვიჯექი და ვკითხულობდი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ხულიგნობისთვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ის იყო ტელეფონიც აწკრიალდა, — „განთიადის" ცენტრალურ საბჭოში მისვლას გვთხოვდნენ. ერთი სპორტსმენის ხულიგნური საქციელის შესახებ უნდა ემსჯელათ.**

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირთა კომიტეტის რესპუბლიკური სპარტაკიადის მთავარ მსაჯს — ამხ. ი. ბოჭორიძეს.

კალათბურთელთა შეჯიბრების უფროსი მსაჯის — ბ. სავჩენკოს

## მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ა. წ. 27 ივლისს ჩატარდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და სპორტკლუბ „ფეიქრის" ვაჟთა გუნდების შეხვედრა. ვმსაჯობდით მე და I კატეგორიის მსაჯი მ. თიბილოვი. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გუნდი აშკარად არასპორტული საქციელით გამოირჩეოდა მთელი შეხვედრის მანძილზე. ერთ-ერთი კალათბურთელი რ. თაბაგარი კი უწმაწური სიტყვებისა და გინებისთვის მოედნიდან გავაძევეთ.

მოდით, ვცადოთ გავიგოთ რა იმალება ამ ერთი შეხედვით „მშრალ" სტრიქონებს მიღმა.

მატჩი თავიდან მშვიდობიანად დაიწყო. მაგრამ არ გასულა 5 წუთი და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სპორტსმენები მძაფრმა აზარტმა (სამწუხაროდ, არასპორტულმა) აიტაცა. კალათბურთელები აშკარად ცდილობდნენ საკავშირო კატეგორიის არბიტრის — ბ. სავჩენკოს საქმეში ჩარეულიყვნენ და შეხვედრის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ. მაგრამ მსაჯი მათ ანკესზე არ წამოეგო.

ანგარიში თანაბარი იყო. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის წარმომადგენლები კი უხეშობდნენ, შეჯიბრების წესებს არ იცავდნენ. მსაჯმა გუნდის კაპიტანი მოიხმო და მკაცრად გააფრთხილა (რ. თაბაგარს ამ დროს უკვე ორი პერსონალური გაფრთხილება ჰქონდა მიღებული).

## ფელეტონი

თამაშის დამთავრებას რამდენიმე წუთი რომ აკლდა, მოედანზე მოულოდნელად გამოვიდა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გუნდის წარმომადგენელი ვ. ჯავახიშვილი. ჯერ შენიშვნა მისცა არბიტრს, შემდეგ კი მოითხოვა სავჩენკო, როგორც ამ საქმისთვის შეუფერებელი, ასპარეზობის მსაჯობიდან მოეხსნათ. (სხვათა შორის, სავჩენკო კალათბურთის მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი გახლავთ და არაერთხელ უმსაჯია საკავშირო ასპარეზობებშიც).

ასე იყო თუ ისე, ვ. ჯავახიშვილის სიტყვებს უკვალოდ არ ჩაუვლია. მოთამაშეები გათამამდნენ და ხულიგნურ საქციელს გასაქანი მისცეს. რ. თაბაგარმა უწმაწური სიტყვა არ დააკლო ბ. სავჩენკოს და, რაღა თქმა უნდა, იგი გააძევეს. ვ. ჯავახიშვილმა არც აცია, არც აცხელა, გამოიჩინა რა სრული უკოდინარობა, ასპარეზობის წესებისა და კალათბურთისა (მან 1963 წელს დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი!), მაშინვე თავის გუნდს აუბა მხარი და განაცხადა, რომ მსაჯები განგებ „ჩაგრავდნენ" აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სპორტსმენებს. თამაში ერთ ხანს შეწყდა, მაგრამ შემდეგ იმავე ბ. სავჩენკომ არჩია მაინც დამთავრებულიყო მატჩი. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გუნდმა წააგო — 48:54.

ვ. ჯავახიშვილი ისევ ემდუროდა და ადანაშაულებდა მსაჯს. როგორც ჩანს, მისთვის მთავარი ახალგაზრდობის ფიზიკურად აღზრდა და კარგი წრთობა კი არა, ტურნირის ცხრილში ჩაწერილი ქულებია.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თამაში რომ დამთავრდა, რ. თაბაგარმა ისევ უკადრისი სიტყვები აკადრა მსაჯს და ხელიც გაარტყა. ჩემს სიმართლეს ვეძებდიო. — ამაყად განაცხადა თავაშვებულმა, სპორტსმენისა და უბრალოდ, ადამიანური ღირსება კი დაივიწყა. სხვა თუ არაფერი, განა საკადრისია სახეში გაარტყა შენზე გაცილებით უფროსს?

გუნდი შეჯიბრებიდან მოხსნეს. თაბაგარი ისევ დაემუქრა მსაჯს. იცოდე, შავ დღეს დაგაყრი, რომ არ გვათამაშონო.

აი, რაზე მსჯელობდა იმ დღეს მსაჯთა კოლეგია მსჯელობდა მკაცრად, გულისტკივილით, მსჯელობდა აზრიანად, გონიერად, დაფიქრებით, იმიტომ, რომ სპორტსმენი ჯერ მოქალაქეა და მერე სპორტსმენი. სწორედ ამიტომ, ვიდრე იგი ჯერ კიდევ არ ჩამოსცილებია სპორტს, მისმა ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს, რომ ამ კაცს, — მოქალაქეს, მარტო ფიზიკური კი არა, კარგი სულიერი და მორალური წრთობა მისცეს.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ასე სწამდეთ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფიზკულტურის ინსტრუქტორს ნ. ბოჭორიშვილს (იგი 1000 ფიზკულტურელს ხელმძღვანელობს) და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს ვ. ჯავახიშვილს (იგი 8 თვეა ფაბრიკაში მუშაობს).

25 წლის ზეინკლის, კომკავშირელ რ. თაბაგარის საქმე მილიციის ლენინის რაიონის განყოფილებას გადაეცა.

ვ. ბუკია.

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. მოგვყავს ტურის ტექნიკური შედეგები:

**I ჯგუფი, I ზონა.** „ისანი" (თბილისი) — „ტორპედო" (გაგრა) 6:2, „ქართლი" (გორი) — „ირისთონი" (ცხინვალი) 1:2, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:1, „ოდიში" (ზუგდიდი) — „სინათლე" (თბილისი) 0:1, „განთიადი" (ბორჯომი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:2.

**II ზონა.** „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ნარინჯი" (ბათუმი) 2:0, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:5, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:1, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:3. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს მოგება ჩაეთვალა ქუთაისის „დინამოსთან".

**I ჯგუფი, II ქვეჯგუფი, I ზონა.** „დურუჯი" (ყვარელი) — „შირაქი" (წითელწყარო) 3:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 4:3, „ალაზანმშენი" (თელავი) — „არაგვი" (მცხეთა) 5:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 1:0. მარნეულის „კოლმეურნეს" მოგება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან".

**II ზონა.** „მექანიზატორი" (ფოთი) — „ლაითური" (მახარაძე) 2:3, „ჩიხურა" (საჩხერე) — „მშენებელი" (ჭიათურა) 6:1, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ზემოქართლი" (ხაშური) 3:2, „სულორი" (ვანი) — „ცისკარა" (ბათუმი) 4:0, „ეგრო" (გალი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:2. ხობის „კოლხეთს" გამარჯვება ჩაეთვალა თბილისის „ცისარტყელასთან".

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 30 ივლისისათვის

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე" (თბილისი) | 19 | 13 | 4 | 2 | 39—13 | 30 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 19 | 13 | 3 | 3 | 36—15 | 29 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 18 | 7 | 10 | 1 | 26—13 | 24 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 18 | 10 | 4 | 4 | 20—17 | 24 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 17 | 8 | 4 | 5 | 29—19 | 20 |
| „ქართლი" (გორი) | 19 | 7 | 5 | 7 | 24—23 | 19 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 19 | 5 | 7 | 7 | 16—17 | 17 |
| „ისანი" (თბილისი) | 18 | 5 | 6 | 7 | 19—20 | 16 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 17 | 6 | 4 | 7 | 15—21 | 16 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 19 | 5 | 4 | 10 | 21—37 | 14 |
| „ტორპედო" (გაგრა) | 17 | 2 | 2 | 13 | 19—34 | 6 |
| „დინამო" I (თბილისი) | 17 | 1 | 0 | 16 | 16—42 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 19 | 8 | 9 | 2 | 27—11 | 25 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 19 | 10 | 5 | 4 | 23—14 | 25 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 18 | 9 | 6 | 3 | 36—20 | 24 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 18 | 9 | 4 | 5 | 27—22 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 17 | 8 | 5 | 4 | 26—17 | 21 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 18 | 7 | 7 | 4 | 23—18 | 21 |
| ასა (თბილისი) | 18 | 6 | 8 | 4 | 22—14 | 20 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 19 | 4 | 11 | 4 | 17—17 | 19 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 19 | 5 | 8 | 6 | 22—25 | 18 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 18 | 5 | 3 | 10 | 21—26 | 13 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 19 | 2 | 7 | 10 | 20—36 | 11 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 18 | 0 | 1 | 17 | 10—54 | 1 |

## სხვათა შორის

იტალიაში. ფეხბურთელთა ერთ-ერთი მატჩის დროს დიქტორმა საფეხბურთო ტოტალიზატორის შედეგები გამოაცხადა. მსაჯმა სწრაფად ამოიღო ჯიბიდან პატარა ფურცელი, შეამოწმა და მინდვრიდან გავარდა. თურმე, მოეგო. ოღონდ ესაა, ასპარეზობის მიტოვებისთვის მას სამუდამოდ აუკრძალეს მსაჯობა.

* * *

ორლეანის ფეხბურთელთა კლუბის თავმჯდომარემ — ბატონმა არაგოსმა „უებარ წამალს" მიაგნო, — დააწესა ფულადი ჯარიმა: აუტიდან ბურთის უხეიროდ მიწოდებისთვის 1 ფრანკი, ხოლო ცუდი კუთხურისთვის — 2, გოლის გატანის შესაძლებლობის ხელიდან გაშვებისთვის 5-10 და მეტოქის კარის უშედეგო იერიშისთვის (იგულისხმება ბურთის დაკარგვა) — 20 ფრანკი. შედეგი? ორლეანის გუნდმა ბოლო 10 შეხვედრაში 17 გოლი გაიტანა და არც ერთი მატჩი არ წაუგია.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 04994